საქართველოს კანონი

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28, 18.07.2007, მუხ. 280) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი – პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით, 273^1 მუხლის პირველი ნაწილით ან/და 275-ე მუხლით/276-ე მუხლით (თუ დადასტურებულია დანაშაულის ნარკოტიკული/ფსიქოტროპული/ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ჩადენა) გათვალისწინებული დანაშაული;“.

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე უფლება სასამართლომ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება ჩამოართვას 3 წლამდე ვადით.“.

3. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისთვის ჩამორთმეული უფლების/უფლებების მოპოვება დასაშვებია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

ქუთაისი,

30 ნოემბერი 2018 წ.

N3776-Iს